

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/10/2026

MES 4 26 0001510851

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, „წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტის განსაზღვრის შესახებ" სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის №01-05-04/217 დადგენილების და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, ბატონ ზაზა სოფრომაძის 2026 წლის 22 ოქტომბრის MESY 9 26 0001503503 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წლის 13 ნოემბერს დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნები სტუდენტთა კვოტით შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

სამშენებლო ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 3 სტუდენტი;
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 3 სტუდენტი;
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი -2 სტუდენტი;

დიზაინის საერთაშორისო სკოლა -1 სტუდენტი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა ამ ფაკულტეტის სტუდენტი, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი, რისთვისაც ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2026 წლის 06 ნოემბრისა, გაიაროს რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიაში არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები.

5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2026 წლის 30 ოქტომბრიდან 06 ნოემბრის ჩათვლით.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე სტუდენტის სტატუსის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა 2026 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

11. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით